

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8
2021 წლის 26 ივლისი

დაბა სტეფანწმინდა

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 17 დეკემბრის N 14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართელობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მეოთხე პუნქტის, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულების, „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 აპრილის N 589 განკარგულებისა და სახელმწიფო პროგრამა „განახლებული რეგიონები“-ს დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 აპრილის N 185 დადგენილებით, პროგრამის განმახორციელებელი სამთავრობო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 17 დეკემბრის N14 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 17.12.2020, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.151.016312) შეტანილი იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ

ელგუჯა ღუდუშაური

დანართი

მუხლი 1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2019 წ. ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	13889,9	12301.5	3755.5	8546.0	18 843.7	4 858.5	13 985.2
შემოსავლები	13609,8	12301.5	3755.5	8546.0	18 843.7	4 858.5	13 985.2



არაფინანსური აქტივების კლება	280,1	269.0	0.0	269.0	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0,0	0.0	0,0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0,0	0.0	0,0	0.0	0.0	0.0
გადასახდლები	16594,1	16105.0	3931.3	12173.7	22 221.1	5 043.9	17 177.2
ხარჯები	7076,5	6200.0	129.1	6070.9	12 845.5	113.3	12 732.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	9506,0	9870.6	3802.2	6068.4	9 348.3	4 930.6	4 417.7
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0,0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	0.0	34.4	0.0	34.4	27.3	0.0	27.3
ნაშთის ცვლილება	-2704,2	-3803.5	-175.8	-3627.7	-3 377.4	-185,4	-3 192.0

მუხლი 2. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	13609,8	12301.5	3755.5	8546.0	18 843.7	4 858.5	13 985.2
გადასახადები	13609,8	4520.3	0.0	4520.3	4 527.4	0.0	4 527.4
გრანტები	3092,3	3755.5	3755.5	0.0	10 899.7	4 858.5	6 041.2
სხვა შემოსავლები	5498,1	4025.7	0.0	4025.7	3 416.6	0.0	3 416.6
ხარჯები	7076,5	8200.0	129.1	6070.9	12 845.5	113.3	12 732.2
შრომის ანაზღაურება	1195,2	1154.2	36.0	1118.2	1 185,0	36.0	1 149,0
საკონელი და მომსახურება	1264,5	758.7	48.1	710.6	677.8	32.3	645.5
პროცენტი	16,7	15.5	0.0	15.5	26.8	0.0	26.8
სუბსიდიები	3193,6	3669.8	45.0	3624.9	4 198.6	45.0	4 153.6



გრანტები	7.0	7.0	0.0	7.0	7.0	0.0	7.0
სოციალური უზრუნველყოფა	270,5	385.4	0.0	385.4	548,0	0.0	548,0
სხვა ხარჯები	1128,9	209.3	0.0	209.3	6 202.3	0.0	6 202.3
საოპერაციო სალდო	6533,3	6101.5	3626.4	2475.1	5 998.2	4 745.2	1 253.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	9225,9	9870.6	3802.2	6068.4	9 348.3	4 930.6	4 417.7
ზრდა	9506,0	9870.6	3802.2	6068.4	9 348.3	4 930.6	4 417.7
კლება	280,1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
მთლიანი სალდო	-2692,6	-3769.1	-175.8	-3593.3	-3 350.1	-185,4	-3 164.7
ფინანსური აქტივების ცვლილება	-2704,2	-803.5	-175.8	-3627.7	-3 377.4	-185,4	-3 192,0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	2704,2	3803.5	175.8	3627.7	3 377.4	185.4	3 192,0
ვალუტა და დეპოზიტები	2704,2	3803.5	175.0	3627.7	3 377.4	185,4	3 192,0
ვალდებულებების ცვლილება	0.0	-34.4	0.0	-34.4	-27.3	0.0	-27.3
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	34.4	0.0	34.4	27.3	0.0	27.3
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 3. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 18 843.7 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა		2021 წლის გეგმა			
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



შემოსავლები	13609,8	12301.5	3755.5	8546.0	18 843.7	4 858.5	13 985.2
გადასახადები	5019,4	4520.3	0.0	4520.3	4 527.4	0.0	4 527.4
გრანტები	3092,3	3755.5	3755.5	0,0	10 899.7	4 858.5	6 041.2
სხვა შემოსავლები	5498,1	4025.7	0.0	4025.7	3 416.6	0.0	3 416.6

მუხლი 4. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 4 527.4 ათ. ლარის ოდენობით

დასახელება	კოდი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	11	5019,4	4520.3	0,0	4520.3	4 527.4	0.0	4 527.4
საშემოსავლო გადასახადი	111	0,0	0.0	0,0	0.0	0.0	0.0	0.0
ქონების გადასახადი	113	4919,9	4427.0	0.0	4427.0	4 400.0	0.0	4 400.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	4432,6	4127.0	0.0	4127.0	4 100.0	0.0	4 100.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	90,4	2.0	0.0	2.0	1.0	0.0	1.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	11,6	1.0	0.0	1.0	1.0	0.0	1.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	385,3	297.0	0.0	297.0	298.0	0.0	298.0
დამატებითი ღირებულების გადასახადი	11411	99,5	93.3	0,0	93.3	127.4	0.0	127.4

მუხლი 5. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები



განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 10 899.7 ათ. ლარის ოდენობით:

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
გრანტები	3092,3	3755.5	10 899.7
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	-0,9	0,0	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები	3093,2	3755.5	10 899.7
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	131,3	119.7	147,5
გათანაბრებითი ტრანსფერი	0.0	0,0	0.0.
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	131,3	119.7	147.5
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	0,0	0,0	0,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	2961,9	3635.8	10 752,2
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	2961,9	2973.8	3967,2
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0	352,0	352.0
მგფ-ის თანადაფინანსება	0,0	0,0	6000,5
საქ. მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა	0,0	0,0	0.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი			432,5
სხვა პროექტები	0,0	310.0	0.0

მუხლი 6. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სხვა შემოსავლები 3 416,6 ათ.ლარის ოდენობით

დასახელება	კოდი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
სხვა შემოსავლები	14	5498,1	4025.7	3 416.6
შემოსავლები საკუთრებიდან	141	452,5	154.0	59.0
პროცენტები	1411	393,2	120.0	0.0
რენტა	1415	59,2	34.0	59.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	32,0	20.0	45.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	27,3	14.0	14.0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	14159	0.0	0.0	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	3267,5	2959.0	3 687,3
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	3236,1	2941.0	2 664,3



სანებართვო მოსაკრებელი	14223	13,9	6.0	40.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	142212	0,2	0.0	0.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	142213	3164,7	2900.0	2 589,3
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	57,3	35.0	35.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	142299	0.0	0.0	0.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	31,4	18.0	23.0
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	14232	31,4	18.0	23.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	1407,4	862.7	605.3
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	370,7	50.0	65.0

მუხლი 7. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 12 845,5 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა		2021 წლის გეგმა			
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	7076,5	6200.0	129.1	6070.9	12 845,5	113,3	12 732,2
შრომის ანაზღაურება	1195,2	1154.2	36,0	1118.2	1 185,0	36,0	1 149,0
საქონელი და მომსახურება	1264,5	758.7	48.1	710.6	677,8	32,3	645,5
პროცენტი	29,3	15.5	0,0	15.5	26,8	0,0	26,8
სუბსიდიები	3427,7	3669.9	45,0	3624.9	4 198,6	45,0	4 198,6
გრანტები	6,0	7,0	0,0	7,0	7,0	0,0	7,0
სოციალური უზრუნველყოფა	189,8	385.4	0,0	385.4	548,0	0,0	548,0
სხვა ხარჯები	47,1	209.3	0,0	209.3	6 202,3	0,0	6 202,3

მუხლი 8. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება



განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 9 348,3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 9 348,3 ათასი ლარის ოდენობით

		2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით			
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	51,5	297.0	3.0
01 01	საკანონმდებლო და არმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	51,5	297.0	3.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	8 489,0	8543.3	9 013,1
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	4 655,4	5100.6	6 286,5
02 02	წყლის სისტემის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1 626,8	1167.5	1431.2
02 03	გარე განათება	42,9	0.0	0.0
02 04	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 017,7	355.3	79,2
02 05	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა	765,3	1225.9	321,1
02 06	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	380,9	394.0	745,1
02 07	განაშენიანების გეგმა		300.0	150.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3,9	86.0	14,4
03 01	დასუფთავების ღონისძიებები		86.0	0.0
03 02	ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის“ სამსახური	3,9	0.0	10,9
03 03	ა(ა)იპ „თრუსოს დაცული ლანდშაფტის მართვის ცენტრი“	0,0	0,0	3,5
04 00	განათლება	684.2	884.9	295,8
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	8.5	4.8	81,9
04 02	საჯარო სკოლებისა და ბაღების რეაბილიტაცია	675.7	880.1	213.9
04 03	განათლების ხელშეწყობა			
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	277.4	48.2	20.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	100.4	28.2	0.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	177.0	20.0	20.0
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება		0.0	0.0
05 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოც. უზრუნველყოფა	0.0	11.2	2,0
05 01	ჯანმრთელობის დაცვა			0.0



05 02	მოსახლეობის სოც. უზრუნველყოფა		11.2	2,0
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	9 506.0	9870.6	9 348,3

მუხლი 9. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის გეგმა
701 I. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1674,0	2142.1	1751.3
7011 აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1674,0	2142.1	1751.3
70111 აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1674,0	2116.0	1711.3
წარმომადგენლობითი ორგანო	470,8	472,9	484,2
აღმასრულებელი ორგანო	1203,2	1643,1	1227,1
70112 ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	26.1	40.0
7016 ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0,0	0,0	0.0
702 II. თავდაცვა	37,3	44.0	41.4
7022 სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	37,3	44,0	41,4
704 III. ეკონომიკური საქმიანობა	7422.5	6690.8	12 705,3
7045 ტრანსპორტი	4687.9	5109.6	6 304,5
70451 საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4687.9	5109.6	6 304,5
70455 მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები		0.0	0.0
7049 სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	2734.6	1581.2	6 400,8
705 IV. გარემოს დაცვა	2811,0	2610.9	2 689.9
7051 ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1184.1	1443.4	1 449,8
7052 ჩამდინარე წყლების მართვა	1626,9	1167.5	1 240,1
706 V. საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1058,4	711.0	1 134,2
7063 წყალმომარაგება	0,0	0.0	191.1
7064 გარე განათება	42.9	0.0	0.0



7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1015.5	711.0	943,1
707	VI. ჯამრთელობის დაცვა	69.5	98.4	110,2
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	69.5	98.4	110,2
708	VII. დასვენება, კულტურა და რელიგია	1510.9	1217.5	1 609.3
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	100.4	235.0	211.9
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1410.5	982.5	1397.4
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	0,0	0.0	0.0
709	VIII. განათლება	1630.8	2056.5	1 497.5
7091	სკოლამდელი აღზრდა	918.2	1132.3	1 251,7
7092	ზოგადი განათლება	36.9	44.1	31,9
70923	საშუალო ზოგადი განათლება	36.9	44.1	31,9
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	675.7	880.1	213.9
710	IX. სოციალური დაცვა	379.7	533.8	682,0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	204.0	300.0	434.4
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	201.7	285.0	428.5
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	2.3	15.0	5,9
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	150.6	194.8	158.6
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა	25.1	39.0	89.0
	სულ	16594.1	16105.0	22 221,1

მუხლი 10. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 3 350,1 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 3377.4 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 3377.4 ათასი ლარის ოდენობით.

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 3493121.33 ლარი. მათ შორის: ადგილობრივი სახსრების ნაშთი - 3192,068 ლარია, ხოლო ტრანსფერის ნაშთი 301053.33 ლარი. აქედან:

31696.56 ლარი - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან (საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა-2550.60 ლარი და დაბა სტეფანწმინდაში საჯარო სკოლის ეზოს რეაბილიტაცია - 29145.96 ლარი) ნაშთი.



146044.47 ლარი - საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის №27 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან (საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა - 1871.84 ლარი და დაბა სტეფანწმინდაში საჯარო სკოლის ეზოს რეაბილიტაცია - 144172.63 ლარი) ნაშთი.

67087.86 ლარი - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის №2630 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან (სოფ. კარკუჩაში შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები) ნაშთი.

12680 ლარი - საქართველოს 2020 წლის 8 მარტის №559 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან(დაბა გუდაურის საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა და საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები) ნაშთი.

43 544.44 ლარი - საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №654 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები) ნაშთი.

არსებულ ეტაპზე ბიუჯეტში აისახება ნაშთი - 183 341.03 ლარი.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს - 27,3 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 15 079,6 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	15 079,6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	6 304,5
02 01 01	ახალი გზების მშენებლობა	6 304,5
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	0,0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1431,2
02 02 01	წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია	191,1
02 02 02	საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია	1240,1
02 03	გარე განათება	0,0
02 03 01	გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია	0,0
02 04	კეთილმოწყობის ღონისძიებები	6 079,7
02 04 01	მშენებლობა,ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	79,2
02 04 02	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა რეაბილიტაცია	0,0
02 04 03	დ.სტეფანწმინდის ცენტრალური ნაწილის ურბანული განვითარება	6 000,5



02 05	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის უზრუნველყოფა	321,1
02 06	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	793,1
02 07	განაშენიანების გეგმა	150,0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალი	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01	გზების მშენებლობა	6 304,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არის გზები, რომლებსაც წლების განმავლობაში არ ჩატარებია კაპიტალური რემონტი.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია დაბა სტეფანწმინდაში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული ქუჩების და გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია შემდეგ ლოკაციებზე: ქუჩები:</p> <p>დაბა სტეფანწმინდაში დავით აღმაშენებლის ქუჩის გზის საფარის სრული რეაბილიტაცია 3641 კვ.მეტრზე, რისთვისაც ბიუჯეტში გათვალისწინებულია 550000 ლარი</p> <p>სტეფანწმინდის და თამარ მეფის ქუჩების სრული რეაბილიტაცია 6145 კვ.მეტრზე თანხით-1 305 016 ლარი .</p> <p>სოფ.გერგეტში ხევისბერის ქუჩის რეაბილიტაციაზე-25.0 ათ. ლარი. ასევე</p> <p>საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბის #2685 განკარგულებით რგვ -დან სოფ გერგეტში გათვალისწინებულია: ქეთევან წამებულის ქ.-156 297 ლარი და დავით გურამიშვილის ქ.-339 896 ლარი,</p> <p>ხოლო დაბა სტეფანწმინდაში ვახტანგ გორგასლის ქ.-202 394ლარი რეაბილიტაცია აგრეთვე სოფ. ხურთისის შიდა გზების-1100 000 ლარი და არშის შიდა გზების რეაბილიტაციაზე 1000 000 ლარი. აღნიშნული პროექტების შესაბამისად ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით გათვალისწინებულია 127570 ლარი.</p> <p>დაგეგმილია აგრეთვე სოფ გარბნის შიდა გზების რეაბილიტაცია 4 კმ-ზე. უნდა მოხდეს ძველი ასფალტის აყრა, გზის მოსწორება-მოხრეშვა და ახალი ასფალტის საფარის და ბორდიურების მოწყობა, რისთვისაც გამოყოფილია შესაბამისად 746.8 ათ ლარი.</p> <p>დარიალის ხეობაში მდინარე თერგზე გათვალისწინებულია საფეხმავლო ფოლადის ხიდ-ბოგირის მოწყობა, რისთვისაც გამოყოფილია 100.0 ათ.ლარი.</p> <p>სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, ბიუჯეტში ასახულია მუნიციპალიტეტის მიერ ყოველი შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან (2.5%) დაკავებული თანხები ხელშეკრულებების პირობების გათვალისწინებით შემდეგ სამუშაოებზე:</p> <p>სოფ.კარკუჩის გზის რეაბილიტაციაზე-13.3 ათ.ლარი;</p> <p>მარკოპოლოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია-5.7 ათ. ლარი</p> <p>ბიუჯეტში გათვალისწინებულია აგრეთვე სათვალთვალო კამერების შეძენის 62.0 ათ.ლარი და მომსახურების-18.0 ათ.ლარი. და ა.შ.</p>		
მიღწეული შედეგი	დაბაში ქუჩები იქნება სრულად რეაბილიტირებული. რეაბილიტირებული ქუჩები დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ამ გზით სარგებლობა იქნება უსაფრთხო და კომფორტული. 2021 წელს რეაბილიტირებული გზებით საერთო ჯამში ისარგებლებს 2095 ადგილობრივი მოსახლე და ტურისტი.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის მოწყობა -რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		191.1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ეკონომიკის განვითარების,სტატისტიკის ,ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის ქსელის გაუმართაობა გარკვეულ პრობლემებს უქმნის სოფლის მოსახლეობას. ყაზბეგის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დასაფინანსებელ პროექტებს შორის მნიშვნელოვანია რაიონში როგორც სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია,ასევე სათავე ნაგებობების მოწყობა. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური და ყოფითი პრობლემების მოგვარებას.პროექტის ფარგლებში დაგეგმილია :</p> <p>სოფ. გორისციხის წყლის სათავე-ნაგებობის რეაბილიტაცია ,თანხით-110.0 ათ.ლარი.</p> <p>სოფ გერგეტში წყლის სისტემის რეაბილიტაცია თანხით-66.1 ათ .ლარი.</p> <p>სოფ.სიონში წყლის სისტემის რეაბილიტაცია-15.0 ათ.ლარი</p>		
მიღწეული შედეგი	<p>წყლის ქსელი იქნება სრულად რეაბილიტირებული. წყლის შიდა ქსელის სისტემის გამოცვლის შემთხვევაში სოფლებში განვითარდება ინფრასტრუქტურა, გაუმჯობესდება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.</p> <p>პროექტის პირდაპირი მოსარგებლები არიან სოფლის მკვიდრი მოსახლეობა</p> <p>2040 ადამიანი,აგრეთვე დამსვენებლები,ტურისტები.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა -რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		1240,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ეკონომიკის განვითარების,სტატისტიკის ,ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფ. აჩხოტში ახალი კანალიზაციის სისტემის მშენებლობა, რომელიც მოემსახურება 70 -მდე ოჯახს და რომლის მოწყობა-მოწესრიგება ხელს შეუწყობს გარემოს დაცვას და სოფელში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური და ყოფითი მდგომარეობის გაუმჯობესებას.</p> <p>აღნიშნული პროგრამა ხორციელდება, როგორც რფგ- დან გამოყოფილი თანხით- 1168582 ლარი, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით-61500 ლარით.</p> <p>ხურთისის და ახალციხის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობების მიერთება ელ.ენეგასთან -10.0 ათ.ლარი</p>		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სოფ. არშის წყლის სისტემის რეაბილიტაცია თანხით-100.0 ათ. ლარი.სოფ. გორისციხის წყლის სისტემის რეაბილიტაცია
მიღწეული შედეგი	სოფ. აჩხოტში კანალიზაციის მშენებლობა დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს,რომლითაც ისარგებლებს 70-მდე ოჯახი.იგი ხელს შეუწყობს მოსახლეობის პირობების გაუმჯობესებას.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 02 04 01	მშენებლობა,ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში 79,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ეკონომიკის განვითარების,სტატისტიკის ,ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდაში 112 -ის შენობის მშენებლობის დასრულებას,რომელიც გასულ წელს დაიწყო.აღნიშნულ პროექტზე გათვალისწინებულია 79,2 ათ. ლარი		



112 -ის შენობის დასრულება გამოიწვევს სრულიად ახალი ,თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი 112-ის შენობას,რომელიც მოემსახურება, როგორც ადგილობრივ მოსახლეობას,ასევე დახმარებას გაუწევს სტეფანწმინდის ადმინისტრაციულ ერთეულში სხვა დაზარალებულებს.

მიღწეული შედეგი

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დ.სტეფანწმინდის ცენტრალური ნაწილის ურბანული განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	02 04 03		6000,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ეკონომიკის განვითარების,სტატისტიკის ,ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>განსაზღვრულია სამი ძირითადი მიმართულება:</p> <p>1.მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ობიექტები</p> <p>გამგეობის შენობის ფასადების ,გამგეობის შენობის გვერდზე მცირე სკვერის, დაბის ცენტრალურ ნაწილში სკვერის და დიდი სკვერის რეაბილიტაცია.</p> <p>2. კერძო სექტორის ობიექტები:</p> <p>კომერციული და საცხოვრებელი ფუნქციის 15 შენობა -ნაგებობა</p> <p>შემღობისდაგვარად უნდა შენარჩუნდეს შენობათა მხატვრულ -არქიტექტურული ღირებულება და ხელი შეეწყოს ტურიზმის სწორ განვითარებას</p> <p>3.საინჟინრო,საგზაო და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ობიექტები;</p> <p>ქუჩათა ქსელის, საავტომობილო გზის,კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელის და გარე განათების რეაბილიტაცია.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის ფარგლებში მიიღწევა ყველა ადმინისტრაციული ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა დასამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა	დაფინანსება ათას ლარში
	02 05		321,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ეკონომიკის განვითარების,სტატისტიკის ,ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან , იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს)

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	02 06		793,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>აღნიშნული პროგრამა ხორციელდება როგორც რგფ- დან გამოყოფილი თანხებით 352.0 ათ ლარი, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით- 75,5 ათ.ლარი.. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ინფრასტრუქტურული სამუშაოები , რომელიც განხილული და შეჯერებული იქნა თვით მოსახლეობასთან. გათვალისწინებულია:</p> <p>წყლის სისტემები რეაბილიტაცია: სოფ.სოფ.ცდო.გველეთი,ჯუთა,ყანოზი,კობი,ალმასიანი და ტყარშეტი.</p> <p>გზები,ხიდები,ხიდბოგირები,ნაპირსამაგრის მოწყობა:</p> <p>სოფ. სოფ. ვარდისუბანი, გორისციხე,აბანო,თოთი, გაიბოტენი,უხათი,სუატისი,ნოგყაუ,ოქროყანა,ტეფი.</p> <p>სპორტული ინფრასტრუქტურა : სოფ.სოფ.სნო,ახალციხე,კარკუჭა,გარბანი,ფანშეტი,აჩხოტი</p> <p>გარე განათება სოფ.არშა</p> <p>სკვერები: სოფ.სოფ. ფხელშე ,სიონი,სნო</p> <p>სანიტარული კვანძები: სოფ.სოფ. ხურთისი,ქოსელი</p> <p>ასევე გათვალისწინებულია :რიტუალების სახლების კომუნალური გადასახადების დაფარვა-48.0 ათ ლარი. დაქსელვა ეს.ენერჯით და გაზით-3.3 ათ ლარი</p> <p>სარიტუალო სახლების და კობის ადმ.შენობის რემონტი-266,4 ათ. ლარი</p> <p>დ.სტეფანწმინდის სასაფლაოს შემოღობვა-29.0 ათ.ლარი. და ა.შ.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის ფარგლებში მიიღწევა ყველა ადმინისტრაციული ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება		

პროგრამის დასახელება	კოდი	განაშენიანების გეგმა	დაფინანსება ათას ლარში
	02 07		150,0
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის სამსახური		



პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სივრცითი მოწყობა. ამისათვის პროგრამა ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების ხედვის დოკუმენტაციის შესყიდვას.
მოსალოდნელი შედეგი	სტრატეგიულად განვითარებული მუნიციპალიტეტის ტერიტორია

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1 449,8 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1449,8
03 01	დასუფთავების ღონისძიებები	103,1
03 02	ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის“ სამსახური	1306.0
03 03	ა(ა)იპ თრუსოს დაცული ლანდშაფტის მარტვის ცენტრი	40,7

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავების ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	03 01		103,1
პროგრამის განმახორციელებელი	ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ყაზბეგის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგავშემკრები კონტეინერების შექმნა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავშიდი მანქანა, რისთვისაც მიმდინარე წელს გათვალისწინებულია 54,1 ათ.ლარი ასევე, მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი იქნა დამატებით 49.0 ათ.ლარის ნაგავშემკრები კონტეინერები.		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ყაზბეგის რაიონის დასუფთავება და ნარჩენების გატანა;		

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის“ სამსახური	დაფინანსება ათას ლარში
	03 02		1306.0
პროგრამის			



განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის“ სამსახურის ადმინისტრაცია
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ კეთილმოწყობის სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი 58 მეწოვე და მუშა. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში:</p> <p>ყანობი, ხურთისი, ფხელშე, გორისციხე, ტყარშეტი, ვარდისუბანი, ჩხოტი, სნო, ახალციხე, კარკუჭა გერგეტი და დაბა სტეფანწმინდა. ყოველდღიურად სუფთავდება 800 000 კვ. მ. ფართობი. გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნარჩენების დაგვა-დასუფთავება და მისი ოპერატიულად გატანა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანაც.</p> <p>ქვეპროგრამა მოიცავს აგრეთვე დ.სტეფანწმინდაში სასაფლაოების და მისი ტერიტორიის მოვლა პატრონობას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამწვანებას, საგზაო ნიშნების მოწყობას, ზამთრის სეზონზე მუნიციპალური გზების გაწმენდას თოვლის საფარისგან, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების ჩატარებას, რაიონის სოფლებში გარე განათების და დაზიანებული (წერტილოვანი) წყალსადენის მოვლა პატრონობას.</p>
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება რაიონის დასუფთავება და ნარჩენების გატანა; დაბის ქუჩების მორწყვა-გარეცხვა, დასუფთავდება არამართო სოფლები „არამედ მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიებიც. მთელი წლის მანძილზე ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნება მაწანწალა ძაღლები, განხორციელდება ახალი ხეების და ყვავილების დარგვა, სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა. თოვლის საფარისგან გაიწმინდება რაიონის გზები.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „თრუსოს დაცული ლანდშაფტის მართვის ცენტრი“	დაფინანსება ათას ლარში
	03 03		40,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „თრუსოს დაცული ლანდშაფტის მართვის ცენტრის ადმინისტრაცია“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია: ბიოლოგიური მრავალფეროვნებით, ისტორიით და კულტურით გამორჩეული ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე თრუსოს ხეობის ტერიტორიების დაცვის, აღდგენის და გონივრული გამოყენების ხელშეწყობა, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება, ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების, განსაკუთრებით გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეებისა და ცხოველების გენეტიკური და სახეობრივი მრავალფეროვნების დაცვა და აღდგენა, მიწის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვა, აღდგენა და რაციონალური გამოყენება, გარემოსდაცვითი განათლებისა და მეცნიერული კვლევებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული და კულტურული ძეგლებისა და განაშენიანების ტიპის დაცვა და შენარჩუნება, რეკრეაციულ-ტურისტული და საგანმანათლებლო საქმიანობა, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის ხელშეწყობა. საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.</p>		
მიღწეული შედეგი	საქართველოს კანონით მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელება, კანონით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.		

მუხლი 15. განათლება



განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1497.5 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის პროექტი
04 00	განათლება	1 497.5
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1251,7
04 02	საჯარო სკოლებისა და ბაღების რეაბილიტაცია- მშენებლობა	213.9
04 03	განათლების ხელშეწყობა	31,9

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		1251,7
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ -, სკოლამდელ დაწესებულებათა ცენტრის „ადმინისტრაცია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 8 საბავშვო ბაღი, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის „სააღმზრდელო-საგანმანათლებლო სკოლამდელ დაწესებულებათა ცენტრი“. სულ სკოლამდელ ცენტრში დასაქმებულია 122 თანამშრომელი, მათ შორის: ცენტრის ადმინისტრაციაში -11, ხოლო დანარჩენი-111 პირი დასაქმებულია ბაგა-ბაღებში, აქედან და 40 აღმზრდელი და აღმზრდელის თანამშემწეა ხოლო -71 სხვა პერსონალი . ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. პერსონალის მცირე ხელფასის გათვალისწინებით იგეგმება 2020-2023 წლებში ზრდა.		
	მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 196 შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 70%-ს შეადგენს		
მოსალოდნელი შედეგი	სკოლამდელი ასაკის ბავშვების მომზადება სასკოლოდ		



პროგრამის დასახელება	კოდი	ბაღებისა და სკოლების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	04 02		213.9
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისტემატურად მიმდინარეობს განათლების ობიექტების რეაბილიტაცია. მირითადი აქტივების მშენებლობა, არსებულის მიმდინარე შეკეთება და მოვლა-პატრონობა. კერძოდ: გათვალისწინებულია დაბა გუდაურში საბავშვო ბაღა-ბაღის ეზოს კეთილმოწყობის დასრულება, რისთვისაც გაიხარჯება 5.6 ათ ლარი, ასევე დაბა სტეფანწმინდამი არსებული საჯარო სკოლის ეზოს მოწყობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2019 -2020 წლებში გამოყოფილი სახსრებით-173,3 ათ.ლარით, სოფ. სნოში საბავშვო ბაღის შემოფარგლვა-20.0 ათ.ლარი და დაბა სტეფანწმინდის ბაღა-ბაღის სახურავის ნაწილის გამოცვლა-15.0 ათ.ლარი		
მოსალოდნელი შედეგი	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გუდაურის ადმინისტრაციულ ერთეულში, საბავშვო ბაღის შენობა დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ამ შენობით სარგებლობა იქნება უსაფრთხო და კონფორტული. საერთო ჯამში 2021 წელს ახალი შენობით ისარგებლებს 75-მდე ადგილობრივი მცხოვრები, მათ შორის 23-მდე აღსაზრდელი. ასევე ამ პროგრამით ისარგებლებენ დაბა სტეფანწმინდის მოსწავლეები, რადგან გაუმჯობესდება მათი პირობები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 03		31,9
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამით 2021 წელსაც განხორციელდება დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება როგორც მიღებული სახელმწიფო ტრანსფერებით ასევე ადგილობრივი ბიუჯეტით.. აღნიშნულზე გათვალისწინებული -31,9 ათ.ლარიდან 4,5 ათ. ლარი წინა წლის ტრანსფერია, 23,8 ათ. ლარი მიმდინარე წლის, ხოლო 3.6 ათ. ლარი ადგილობრივია.		
მოსალოდნელი შედეგი	საჯარო სკოლებში კეთილსაიმედო სასწავლო გარემოს შექმნა.		

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

სპორტის, ახალგაზრობისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმს, მეწარმეობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, დანაშაულის პრევენციას, კულტურული დიპლომატიის განვითარებას, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ კულტურა და სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში.

მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით.



ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც კულტურის სამსახურის მიერ, ასევე კულტურის სფეროში შექმნილი ააიპ-ების მიერ.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1609.3 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1609.3
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	211,9
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	0,0
05 01 02	ყაზბეგის სპორტკომპლექსი	211,9
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1397.4
05 02 01	კულტურული ღონისძიებები	3,0
05 02 02	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრი	1334,4
05 02 03	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	60,0

